საპილოტე პროექტი – ჩემი კლიმატმეგობრული სკოლა

საგანი – რუსული ენა ლიტერატურა

კლასი – VIII

მასწავლებელი: ხათუნა გვიჩიანი

რეფლექსია

2023 წლის აპრილიდან სსიპ–ქალაქ წალკის N1 საჯარო სკოლის მე–8 კლასში დაიწყო საპილოტე პროექტი – „ჩემი კლიმატგონივრული სკოლა“. პირველ ეტაპზე მოსწავლეებს გავაცანი პროექტის მიზანი და ამოცანები. ჩვენი სკოლა რომ,გავხადოთ კლიმატმეგობრული ამისთვის მოსწავლეებთან ერთად გავარკვიე თუ რამ განაპირობა 21–ე საუკუნეში კლიმატმეგობრული სკოლების დაარსება. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე გავაცანი თუ რას ნიშნავს „კლიმატმეგობრული სკოლა“. შემდგომ რუსული ენის მიმართულებით აქცენტი გავაკეთეთ ტექსტებზე თუ როგორ იყენებდნენ მზის სითბოს და ენერგიას ძველ დროში კერძოდ, ჩინეთში, **Использование солнечного тепла в прошлые века в Древнем Китае,** მოსწავლეებმა დამოუკიდებლად წაიკითხეს ტექსტი, ინიშნავდნენ მათთვის გაუგებარ ლექსიკურ ერთეულებს, რის შემდეგაც ვეკითხებოდი თუ რა იყო მათთვის რთული და რა გაიგეს, ამისთვის ჩვენ გამოვიყენეთ თვალსაჩინოებები(სურათები; კომპიუტერი; პროექტორი). ვიმუშავეთ ლექსიკაზე უნდა ამოეცნოთ სიტყვების მნიშვნელობა და დაეკავშირებინათ ფოტოებთან. შემდეგ მოსწავლეებს მოვასმენინე ტექსტი სადაც შეავსეს გამოტოვებული ადგილები რუსულ ენაზე.პროექტის ბოლოს მოსწავლეებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალება პრეზენტაციის სახით.

ამ პროექტით, მოსწავლეებმა გაიუმჯობესეს კვლევის, თანამშრომლობის, ანალიზის, კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის ორგანიზებისა და სხვ. უნარები, რომლებიც სწავლა–სწავლების ყველა ეტაპზე გამოადგებათ. მუშობა მიმდინარეობდა პედაგოგების აქტიური თანამშრომლობისა და კოორდინაციის პირობებში, მსგავსი პროექტები ძალიან სახალისოა მოსწავლეებისათვის მეტ თავდაჯერებულობას მატებს მათ. მომავლისათვის აუცილებლად დავგეგმავ მსგავს პროექტებს და გავითვალისწინებ დროის ლიმიტს, რადგან ამ შემთხვევაში დრო ცოტა დაგვაკლდა.